ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №75

5 მარტი 2014წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრისათვის“ (ს/კ - 242008821) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილებით დამტკიცებული ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესი“-ს მე-13 მუხლის მე-3 პუნქტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრის“ (ს/კ - 242008821) 2014 წლის 17 იანვრის №2 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრის“ (ს/კ - 242008821) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დ. ჩოხატაურში 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე ხელოვნურსაფარიანი მინი მოედანი – ღირებულებით - 79539 (სამოცდაცხრამეტი ათას ხუთას ოცდაცხრამეტი) ლარი, მასზე დამაგრებულ 612.00 კვ.მ. არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან ერთად (მიწის ღირებულება - 7344 (შვიდი ათას სამას ორმოცდაოთხი) ლარი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.271).

2. უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის პირობად განისაზღვროს გადაცემული ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი“-ს (ს/კ - 242008821) წესდებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის გამოყენება და მისი მოვლა-პატრონობა.
3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს უზუფრუქტუარის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირად არსებობის პერიოდით.
4. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას (თამაზ ჯინჭარაძე) მხარეთა შორის გასაფორმებელი უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების მომზადება.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. №4.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*